572
1982/2

ISSN 0132-5965



1982 წ. №6 ივნისი

ფიქრი

თბილისი იყო, თბილისი არის, თბილისი იქნება!

ავდგეთ ფეხზე!
ჩვენ თბილისი ვადღეგრძელოთ ჭაღარა.

გალაქტიონ ტაბიძე

დედაზე ძვირფასი არაფერია ქვეყნად. ამიტომ ჩვენ, ქართველები, ყველაფერს უსაზღვროდ ძვირფასს, დედასაც ვეძახით. მაგალითად, ჩვენთვის დედა ენაა ქართული — ჩვენი დედ-მამის, ჩვენი წინაპრების, ჩვენი ძირის და მოდგმის ხალხის ენა, დედა ქალაქია სამშობლო ქვეყნის მთავარი ქალაქი.

საქართველოს დედაქალაქი თბილისი არა მარტო თბილისელების, ყველა ქართველის დედა ქალაქია.

რა კარგია, როცა შვილს საამაყო დედა ჰყავს — ლამაზი, ძლიერი, მშრომელი, მზრუნველი, პატივცემული.

ასეთი იყო ჩვენი თბილისი მუდამ...

15 საუკუნეზე მეტია გასული მას შემდეგ, როცა თბილისი ქართველ მეფეთა სატახტოდ იქცა და გოლიათმა ვაუკაცმა, მეფე-დევგმირმა ვახტანგ გორგასალმა დაადგა მის მიწას ფეხი.

15 საუკუნის მანძილზე სხვადასხვა ჯურის მომხდურნი, საქართველო რომ დაემონებინათ, მისი დედაქალაქის დამორჩილებას ცდილობდნენ, მაგრამ არ ნებდებოდა თბილისი, ბორკილებს წყვეტდა, ნახანძრალზე ბაღებს აშენებდა, ძალას ჰმატებდა თავის საამაყო შვილს — ერთიან საქართველოს... და საქართველოსაც ეამაყებოდა ასეთი დედაქალაქი.

იყო დრო — დავით აღმაშენებლის სიბრძნემ და სიმამაცემ გაათავისუფლა თბილისი უცხოთესლის ბატონობისაგან.

იყო დრო — აქედან მონღოლ-თათართა ურდოში სასიკვდილოდ წავიდა მეფე დემეტრე თავდადებული, რომ თბილისი და საქართველო გადაერჩინა.

აქ მეფე-პოეტები და პოეზიის მეფეები ფიქრობდნენ თავიანთ საფიქრალს, მოაზროვნეები და მებრძოლები სჭედდნენ ქვეყნის მომავალს.

დღეს თბილისი არნახულად გაზრდილი და გაძლიერებულია, დღეს თბილისი მარტო ქართველების კი არა, მთელი დიდი საბჭოთა ქვეყნის სიამაყეა — ყველასთვის ლამაზი, ძლიერი, მშრომელი, მზრუნველი, ყველასაგან პატივცემული და დაფასებული... ამის დასტურია ლენინის ორდენი, რომელიც თბილისის დროშაზე კიაფობს...

როგორი იქნება თბილისი მომავალში? ეს მის შვილებზეა დამოკიდებული. თბილისი ხომ დედაა და მისი შვილი კი — მთელი საქართველო. ეაძლიეროთ, ვახაროთ ჩვენი ძვირფასი დედა! ვიყოთ მისი საამაყო შვილები!

ხვალე და ზეგაც იტყვიან, —
თბილისი ოქროს თვალია!
მაგრამ რაც დღეს ხარ, ხვალისთვის
ის მხოლოდ ნაათალია!

გიორგი ლეონიძე

დგას ფიროსმანის მოხატული
თბილის-ქალაქი
ეს პოეზიის უწმინდესი ადგილის დედა.

ლადო ასათიანი

ვიზრდებით და ცეცხლად ვლვივით,
აღარ გვყოფნის სიგრძე, განი,
რუსთაველის ბეჭებივით
დგას თბილისის გალავანი.

იოსეფ გრიშაშვილი

მღერის ალვების მწყობრი კრებული,
სანაპირონი სხედან მწვანეში,
და დგას თბილისი, ამოვლებული
მტკვარში, მზეში და მატიანეში.

სიმონ ჩიკოვანი

მე ვენაცვალე შენს გმირულ აწმყოს,
შრომას და ბრძოლას — მას, რასაც ვხედავ,
რა მხნედ შენ აგურს აგურზე აწყობ,
როგორი რწმენით მომავალს სჭედავ.

კოლაუ ნადირაძე

მიწა სჭამს ყველა ჯელალედინებს,
მიწა კვლავ ბრწყინავს თბილის-ქალაქის.

გრიგოლ აბაშიძე

რ ე ვ ა ზ ი ნ ა ნ ი შ ვ ი ლ ი

მინდორში

პატარა ბიჭი მამუკა, რაღა პატარა, თითქმის ცხრა წლისა, ბიძასთან იყო, სოფლად. ბიძამისს სანდრო ერქვა.

ერთ დღეს ეს სანდრო და მისი ამხანაგი გოგია სათიბში წავიდნენ. სანდროს მამუკა გაჰყვა, გოგიას — თავისი ბიჭი მალხაზი, ისიც მამუკას ხნისა. სათიბი შორს იყო, გოგიამ ოთხთვალაში ცხენი შეაბა, ყველანი შიგ ჩასხდნენ და ისე გავიდნენ იმ მინდვრებში.

სანდრო და გოგია ცელავდნენ, გრძელი თოკით ძეძვზე მიბმული ცხენი ძოვდა, გოგია და მალხაზი კი შუადღემდე მარწყვს ეძებდნენ ძეძვიანებში, შუადღის შემდეგ ნათიბს აბრუნებდნენ სამთითებით. ნათიბს იმიტომ აბრუნებდნენ, რომ მეორე მხრიდანაც მალე გამხმარიყო.

წყალი პატარა კასრით ჰქონდათ წაღებული. როგორ მოხდა, როგორ წაიქცა ის კასრი ოთხთვალაში — საცობი მოსძრობოდა და წყალი მთლად დაღვროდათ. ბიჭებს რომ მოსწყურდათ, მივიდნენ, ნახეს, წვეთი აღარ იდგა. — რა უნდა ვქნათო? — იკითხეს დაღონებულმა ბიჭებმა. — უნდა მოითმინოთო, — ღიმილით მიუგეს დიდებმა. ითმინეს ბიჭებმა, ითმინეს და ვეღარ მოითმინეს, — გვწყურიაო, კაცოო, გვწყურიაო. ადგა მამუკას ბიძა, ჩანახევრებული ღვინის ბოთლი ამოიღო, გოგიას მიაწოდა, დალიეო. გოგიამ მოიწაფა და დალია, ცოტაღა დარჩა, ის ცოტაც სანდრომ ჩამოცალა, ბოთლი ბიჭებს მისცა და უთხრა:

— აგერ იმ დიდ ხეს ხომ ხედავთ, მარტო რომ დგას შემაღლებულზე, ეგ ხე ბერტყენაა. მაგ ხესთან რომ მიხვალთ, იქით ხევი დაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

17105

ხვდებათ, იმ ხევში ჩადით, ზევით აუყევით, ჩამონგრეული კლდეა, იმ კლდეს გასცდებით და წყალი იქ არის. თქვენ იქ დალიეთ, კარგად დალიეთ, ეს ბოთლი კიდევ — გაავსეთ და ჩვენ წამოგვიღეთო.

ცხენით წავალთო, ბიჭებმა, იმასაც დავალევინებთო.

არაო, ცხენი ჩამოგყრითო, სულ მალე კოლექტივის მანქანა გამოიკლის, წყალს იმას ჩამოვასხმევინებთ და მაშინ დავალევინოთო.

წაიღეს ბოთლი ბიჭებმა და წავიდნენ. მიდიოდნენ სიცხეში, ტოროლების ჭრიახში, კალიების ჭიჭინში. ბერტყეანა ახლოს ჩანდა, მაგრამ ძლივს მიაღწიეს იქამდე. დაინახეს ხევი, ჩავიდნენ, ჩაირბინეს შიგ. იქ, დაბლა, უკვე სისველე იყო, ჭაობის მაღალი ბალახი ხარობდა. აუყვნენ ზემოთ-ზემოთ, მიადგნენ ჩამონგრეულ კლდეს და იქ მართლაც დახვდათ კლდის ჩრდილში ჩაყუჩებული ტბორი, — სუფთა, სუფთა, ცივი. ჩაყვეს ბიჭებმა ბოთლი შიგ, გაავსეს, დალიეს, ესიამოვნათ, კიდევ დალიეს, კიდევ ესიამოვნათ. დაიბერნენ. ხელ-მკლავზე და სახეზეც შეისხეს წყალი, ერთმანეთსაც შეაწუნწკლეს, პერანგების გულისპირები სულ დაისველეს. ახლა გვეყოფაო, ჭურჭელი სუფთად გაავსეს და წამოვიდნენ.

მოდიან, ბოთლი მამუკას მოაქვს. სახე სწრაფად გაუშრა და ახლა იმ ბოთლს ხან ყელთან მიიდებს, ხან ლოყაზე. სიამოვნებს. ასწია ერთხელაც, შუბლზეც უნდა მიედო, გახედა მზეზე და რა დაინახა! ბოთლში ნისლივით ირეოდნენ რაღაც მიკრობები. — ვაიმე, ბიჭო, ეს რა დაგვილევიაო! გახედა მალწაზმაც, იმასაც შეეშინდა. მამუკას მუცელი ასტკივდა. მალე მალხაზსაც ასტკივდა მუცელი და სულ ზუზუნ-ზუზუნით გამოიქცნენ.

— რა იყო, ბიჭო, რა დაგემართათო! — დაუძახა შეფიქრიანებულმა სანდრომ.

— აი, ეს წყალი როგორი ყოფილა, ამით დავიბერენით და მუცელი გვტკივა ორივეს.

გამოართვა ბოთლი სანდრომ, გახედა. მოვიდა გოგიაც, იმანაც გახედა ბოთლს, გაელიმა, ნუ გეშინიათ, ნუ ზუზუნებთ, ლუკმაზე პატარა რამეებმა როგორ უნდა შეგაშინოთო, — მოიყოდა ბოთლი, დალია. ბიჭები შეშინებულნი უყურებდნენ. გოგიამ ბოთლი ახლა სანდროს გადასცა. სანდრომაც დალია. ბიჭები მაინც იღრიჯებოდნენ.

—წამოდით ჩემთანო, — უთხრა მაშინ სანდრომ. წაიყვანა, მიიყვანა ოთხთვალასთან, დასხა იმის ჩრდილში. ოთხთვალას ქვეშ, მიწაში, მაწვნის ქილა ჰქონდათ ჩაგრილებული, ზემოდან მწვანე ბალახი ეყარა. ის ქილა ამოიღო, დაუსხა მაწონი ორივეს ერთ ორჯამიანში, გაარჩია ნიორი, დანით ნვრილად ჩაუჭრა შიგ, პურიც ჩაუფხვნა ცოტა, მისცა კოვზები და, — მიდით, ჭამეთო. დაიწყეს ბიჭებმა ჭამა. მაწონი გემრიელია, მით უფრო — მინდორში, მიწაში ჩაგრილებული მაწონი, მაგრამ თუ იმას ნვრილად დაჭრილი ნიორიც ემატება, იმაზე გემრიელი აღარაფერია ქვეყანაზე. სულ მოანკრიალეს ორჯამიანი.

ისინი რომ ჭამდნენ, სანდრო იქვე იდგა და ცელს ლესავდა. გოგია ცელავდა და ცელავდა.

— გტკივათ კიდევ მუცლებიო?

ბიჭებმა დააყურადეს, ნელ-ნელა გაელიმათ; არა, აღარა გვტკივაო. მაშ ნუღარაფრისა გეშინიათ, ადექით, ნათიბი გადააბრუნეთო. ბიჭები ცოტა კი შეფიქრიანდნენ, მაგრამ მაინც აიღეს სამთითები და დაიწყეს ნათიბის გადაბრუნება. სანდრომ ერთი კბილი ნიორი თვითონაც შეჭამა. მეორე კბილი გოგიას მიუტანა. გოგიამ შორიდანვე შეიგდო პირში, კამფეტივით ჩაახრამუნა და ცელვა განაგრძო.

გოგია ძალიან ღონიერი იყო, მზეზე უბრწყინავდა და უელავდა ოფლით სველი კუნთები. სანდროც ძალიან ღონიერი იყო, გავეშებული იქნევდა ცელს და მიიწევდა წინ. მამუკა და მალხაზიც ღონივრები იყვნენ, ფიცხლად მისდევდნენ სამთითებით ნათიბს და მალ-მალე უღიმოდნენ ერთმანეთს.

დასჭრიახობდათ, დაჰგალობდათ მაღლიდან ტოროლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავები

ვარსკვლავები ყველგან არის,
არ სჭირდება ამას დავა.
ცაზე ვხედავ ცისკრის ვარსკვლავს,
ზღვაში ცურავს ზღვისვარსკვლავა.
ბრძოლისა და შრომის გმირებს,
ვინც სამშობლო ასახელა,
თავთუხისფრად მოციმციმე
ვარსკვლავები ამკობს ყველას.
საახალწლო ნაძვის ხიდან
თავს რომ გვაფრქვევს ზღაპრულ ფერებს,
იმ ვარსკვლავის მსგავსი, ხედავთ,
მკერდით დაგვაქვს ოქტომბრელებს.
— ყური მიგდე, ჩემო გია,—
უფროსმა ძმამ მითხრა გუშინ,
— შენ ალბათ არც გაგიგია,
ვარსკვლავია ვაშლის გულშიც!
არ მჯეროდა, მაგრამ როცა
ორ ნაწილად გაჭრა ვაშლი,
ამან ისე გამაოცა,
სიხარულით დავცხე ტაში,
თან მთელი ხმით შემოვძახე:
— ტაში-ტუში! ტაში-ტუში!
მეგობრებო, მოდით, ნახეთ,
ვარსკვლავია ვაშლის გულშიც!

მხატვარი ნანა სულემენაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ჭიჭინაძე

კეთილი სურვილი

კალმად ვხმარობ
მტრედის ფრთასა,
სულ თოვლივით
ქათქათასა.
მელნად რასა?
იის ცვარსა,
და ქაღალდად
გვირილასა.
მზის სხივებს ვწნავ
ასოებად,
ფიქრის მეტი
რაღა მრჩება.
პირველ რიგში
მსურს გისურვოთ
სიკეთე და
გამარჯვება!

მხედარი

მივქრი, მივქრი თრიალეთს,
დროშას მივაფრიალებ.
მართლა დროშას კი არა,
კოცონივით ბრიალა
მზესუმზირის გრძელ ღეროს
ქარში ფოთლებგაცვენილს...
ერთი კარგად შემხედეთ,
რა ცხენი მყავს, რა ცხენი!
მივქრი, მივქრი თრიალეთს,
დროშას მივაფრიალებ,
ვარ ამ მიწის დამცველი!

მამის ბარათი

ვიოლა
ფანჭველაშვილი

პატარა ნატო უთენია დგებოდა, წიგნს დაავლებდა ხელს და ნალიაზე მიყუდებულ კიბეს აირბენდა. იჯდა სასმინდეში და ხან წიგნს ჩასჩერებოდა, ხან ბილიკს გახედავდა — ფოსტალიონის გამოჩენას ელოდა.

რაც ომი დაიწყო, თედო პაპას მოჰქონდა სოფელში სამკუთხა ბარათები. იგი იყო პირველი მაცნე სიხარულისა და მწუხარებისა...

იმ დღესაც ნალიაში იჯდა ნატო და ელოდა.

მალე თედო პაპაც გამოჩნდა. თავჩაქინდრული, ნელში მოკაკვული, ძლივ-ძლივობით მოაბიჯებდა. ნატო მიხვდა, რომ ცუდი ამბავი მოჰქონდა, და თვალი მოარიდა.

ფოსტალიონი ძალიან ნელა მოდიოდა, თითქოს საკუთარ ნაბიჯებს ითვლისო და რაც უფრო უახლოვდებოდა ნალიას, ნატოს სუნთქვა ეკვროდა, ვაი თუ ჩვენს ეზოში შემოუხვიოსო.

როგორც იქნა ფოსტალიონი გასცდა იქაურობას... მერე კი მთელი დღე სოფლის თავიდან ისმოდა ვაუიკაანთ სალომეს მოთქმა და პატარა თაკოს ქვითინი — ვაიმე, მამაო!

ის ღამე მოუსვენრად გაატარა ნატომ. ძლივს ჩაეძინა.

სიზმარში მამა ნახა. ვითომ ჩამოსულიყო და შვილს საყვედურობდა, წერილებს რატომ არ მიგზავნიდიო.

თვალი რომ გაახილა, უკვე გათენებულიყო. გარეთ გავიდა და ნაღვლიანად გადახედა დაქანებულ ბილიკს: გზაზე მხიარულად, წელგამართული მოაბიჯებდა თედო პაპა.

ნატოს სახე გაებადრა. წიგნი ამოიიღლიავა, გზაზე გავარდა და თავიანთ ამოსახვევში მიეგება ფოსტალიონს.

— შენ კი გაიხარე, შვილო, ამ ციცაბო აღმართზე რომ აღარ ამომიყვანე!

თედო პაპამ ჩანთა ქოშინით მოიხსნა და სამკუთხა ბარათი გაუწოდა ნატოს.

— ჩემია, პაპა? — გაეხარდა ნატოს.

— თაკარაანთ რძლისაა, შვილო. გიას მამის წერილია. შენ აუტანე, აგრემც შემოგევლოს პაპა.

ნატოს წიგნი დაუვარდა ხელიდან. წიგნიდან ნახევრად მოჩანდა ნატოს მამის სურათი. ფოსტალიონმა თვალი მოჰკრა მას.

— ნატო, შვილო! მტერს რკინიგზები დაუნგრევია, ხიდებიც და სამანქანო გზებიც, და ფრონტიდან გამოგზავნილი წერილებიც იმიტომ იგვიანებს. აი, ჩვენები მალე აღადგენენ რკინიგზებსაც, ხიდებსაც, სამანქანო გზებსაც, და შენც მოგიტან მამაშენის წერილებს.

— მართლა მომიტან, თედო პაპა?

— ჰო, შვილო, მართლა.

— მალე?

— ძალიან მალე.

გახარებულმა ნატომ მამის სურათი გულში ჩაიხუტა და სამკუთხა ბარათი გიას სახლისაკენ გაარბენინა.

დამთავრდა ომი.

აღადგინეს დანგრეული რკინიგზებიც, ხიდებიც, სამანქანო გზებიც...

ნატო ყოველდღე გასცქეროდა გზას. ფოსტალიონი ყოველდღე მოდიოდა, მაგრამ ნატოსთვის მამის წერილი არ მოუტანია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე დიდი სიმდიდრე!

თურქული ზღაპარი

მხატვარი ოთარ ჩხარტიშვილი

ერთი ჭაბუკი სულ სიღარიბეს უჩიოდა.

— ეჰ, რა იქნებოდა, მე რომ დიდი სიმდიდრის პატრონი ვყოფილიყავი! ვიცხოვრობდი არხეინადო, — შესჩივლა მან ერთ მოხუცს.

— ბედს რად ემდური? შენ ისედაც დიდი სიმდიდრის პატრონი ხარ, — უპასუხა მოხუცმა.

— მე ვარ დიდი სიმდიდრის პატრონი? ვითომ? იმ სიმდიდრეს რომ ვერა ვხედავ? — გაუკვირდა ჭაბუკს.

— მაშ შენი თვალები რა არის? რას ისურვებდი თუნდაც ერთი თვალის საფასურად? — ჰკითხა მოხუცმა.

— რას ამბობ! ჩემს თვალებს ვერავითარ სიკეთეში ვერ გავცვლიდი, — მიუგო ჭაბუკმა.

— კარგი. მაშ, შენი ხელები მომეცი და ოქროთი აგავსებ, — შესთავაზა მოხუცმა.

— არა, ვერც ხელებს მოგცემ, ოქროს მთებიც რომ დამიდგა, მაინც.

— ახლა ხომ ხედავ, რა მდიდარი ყოფილხარ. მერწმუნე, ადამიანის ყველაზე დიდი სიმდიდრე — ძალღონე და ჯანმრთელობაა. მას ვერავითარი ფულით ვერ იყიდი, — დაარიგა ჭაბუკი მოხუცმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეზო ცანცარ

ალექსი ნამორაძე

ყვავილები

ყვავილები მანანამ
თოხნა, მორწყა, ახარა.
აბა, ერთი შეხედეთ,
რამხელანი გამხდარან?
ზოგი ახლა იშლება,
ზოგი წითლად ღაღანებს.
მათზე ზრუნვით მანანა
ათენებს და აღამებს.

ჯემალ მეტარეველი

ზარმაცი ბესო

— ესო, ესო,
რა ღვე არის ღღესო?—
წარამბარა კითხულობს,
უშვდის ყველას ყვლესო.
— ესო, ესო,
რა ღვე არის ღღესო?—
გადაშალე კალენდარი,
შე ბარმაცო ბესო!

იოსებ აფციაური

კენკლა

საით მიფრინავს პეპელა
ფარფატით, ნელა-ნელაო.
მგელმა არ დასცეს. ტოროები,
არ მიეპაროს მელაო.
ჩემთანამც შემოიფენა,
შინ დავუთესავ ყანასა,
ფანფურზე ჩავუწკრიალებ
სიმღერას იმისთანასა.

ალექსანდრე ბასალაძე

ორი ლიანდი

ბინანავთ ბატარა ლიანდი,
ან ღიდი ლიანდი ბინანავთ?
ანრიღში ორივე ადიდვა,
ქვეყანა წალეკეს კინაღამ.
ცალ-ცალკე მორბიან მთეზიდან,
ტალღებით მთავორეზს ჰკვეთავენ,
ვაკეზე ძმებივით ხვეზებიან
და ბუღში იკრავენ ერთმანეთს.

ზიორგი ფეთეკაური

ნორჩი მეტყველე

ეს რამ გაახაღისა
კახუნია კახუნა?—
თურმე თავზე ტყის მცველის—
მამის ქუდი ახურავს!
— ხედავ?—მამას ეუბნება,—
ვარ მეტყველე საკენები,
ალარავინ ალარ მოკრას
წიფლები და არყები,
თორემ ძვირად დავუსვამ,
ნახოს, როგორ დავზვენები!
მამამ უთხრა:
— გასწი ტყეში!
წახვალ? დამეთანხმები?
კახამ წწრაფად მიუგო:
— წავალ, თუკი წამყვები!

ნინო ტაბიძე მახარაძეული

დედიკო და მამიკო

ოთხი წლისა არც კია .
პაწაწინა რემიკო,
ეკითხე:—დედას რა ჰქვია?
ფერც მიმიხვდა, კასუნი
ფლად სწორი რომ არ იყო...
მაშინ ეკითხე:—მამაშენს?
მკვირცხლად მითხრა:— მამიკო!

ზიორგი მეტარეველი

ბანაობა

დაკრის ნელი ნიავი,
ვერხვის ტოტი ქანაობს,
და მე ხალისიანად
ნაკადულში ვბანაობ.
არ მაქვს ნავი რეზინის,
წყალში ეცურავ თევზივით!

ხელოვანი ლოფიო კინწურაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპირიდონ ვანგელი

ხალხს თითქმის მიავინწყდებოდა, რომ მათ სოფელში მონადირე ცხოვრობდა და სნორედ ამ დროს რეუტის სანაპიროზე ბათქაბუთქი ატყდებოდა! როგორც კი მონადირის ცოლი სროლის ხმას გაიგონებდა, ქვაბში წყალს ჩაასხამდა და ღუმელში ცეცხლს გააჩაღებდა.

მონადირე დაინახავდა, ჩემი სახლის საკვამურიდან ბოლი ამოდისო, მაგრამ შინ მაინც არ მიიჩქაროდა, იხვს ქამარზე ჩამოიკონწიალებდა და განზრახ მთელ სოფელს შუკა-შუკა შემოუვლიდა, რომ ნანადირევი რაც შეიძლება მეტი ხალხისთვის შეეხარბებინა.

გუგუცე სხვა ყმაწვილებივით ფეხდაფეხ კი არ დასდევდა მონადირეს, გაიგონებდა თუ არა გასროლას, მონადირის სახლს მიაშურებდა მისი ცოლის მისაშველებლად. მონადირე შეხედავდა — ვიღაც ყმაწვილი შეშას მიპობსო, მაგრამ თქმით არაფერს ეტყოდა, ძაღლს კი იცოცხლეთ, გაუბამდა მასლაათს.

ერთ კვირას ვიღაც დარაჯმა ცაში ისროლა თოფი, რა არი და ხალხს არ ეგონოს, სადარაჯოზე სძინავსო. მონადირის ცოლმა მაშინვე დაავლო ქვაბს ხელი, ნაჯახმომარჯვებულმა გუგუცემ კი ეზოში შეაბიჯა.

მონადირემ ტბიდან დაინახა, რომ საკვამურიდან ბოლი ამოდიოდა და კეფა მოიქექა — ნეტავ რას მივაწეროთ ჩემს სახლში შეშის ასეთი უყაირათო ხარჯვაო, და ასლა იმან ბუთქა, ეგებ მიხვდნენ და სანამ რამე მომინადირებია, ღუმელში ცეცხლი გაანელონო. მონადირის ცოლმა ეს მეორე სროლა რომ გაიგონა, მეორე ქვაბიც შემოდგა ღუმელზე, ღუმელს კი იმდენი შეშა შუკეთა, ალი საკვამურიდან ამოვარდა.

გუგუცე რომ არა, ვინ იცის, ხანძარი აბრიალდებოდა. ვიდრე დიასახლისი ვედროებით ეზოში გამოვარდებოდა, გუგუცე უკვე სახურავზე იყო გასული. საკვამური ნაპერწკლებს აფრქვევდა. გუგუცემ ჯერ მთელი ვედრო წყალი ჩაუშვა საკვამურში, მერე ერთი ოთხი ვედროც სახურავს სთქიშა, თავიდან ფეხებამდე გაილუმპა და ბუხრის მწმენდელივით გაიმურა, ალბათ დედაც ვეღარ იცნობდა.

მონადირემ დაინახა კვამლში გახვეული თავისი სახლი და სოფლისკენ გამოუტია. როცა გაიგო, მთელი მისი ავლადიდება ამ ბიჭს გადაერჩინა, როგორც იქნა იკადრა და ყურადღება მიაქცია გუგუცეს.

— რა გქვია, ყმაწვილო? — ჰკითხა და საკუთარი შარვალი გამოუტანა.

ნება-ნება მიდიოდა შინისაკენ გუგუცე და გზა მაინც ძალიან ემოკლა — სამწუხაროდ, ბევრმა ვერ მოასწრო დაენახა, როგორ შვენოდა მონადირის შარვალი. სამაგიეროდ, მონადირის ძაღლმა თვალი მოჰკრა, პატრონის შარვალი ეზოდან გადისო და უკან აედევნა.

და აი, ერთ დღეს ერთი თოფით ორი მონადირე გავიდა სოფლიდან. თუ ძაღლსაც მივათვლით, სამნი იყვნენ. ამჯერად მონადირეს გაუმართლა! ერთი გასროლით ორი იხვი ჩამოაგდო. ერთი ძაღლმა ამოათრია წყლიდან, მეორე გუგუცემ გამოუტანა ლელიანინდან.

— შენ მე ბედსა მწიე! — უთხრა მონადირემ და გახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებულმა გუგუცეს იხვის კვერცხი აჩუქა. თუმცა, კი არ მიუცია, დაჰპირდა, პირველივე კვერცხი, მომავალ გაზაფხულზე რომ ვიპოვი იხვის ბუდეში, უთუოდ შენი იქნება, რა თქმა უნდა, თუ იხვები ისევ აქ დაიბუდებენო.

იქიდან მოყოლებული სანადიროდ სულ ასე დადიოდნენ: წინ მონადირე მიალაჯებდა, მას გუგუცე მიჰყვებოდა, გუგუცეს კი ძაღლი მისდევდა ფეხდაფეხ. მთელი სოფელი მიეჩვია ამ სამეულს. ერთმა ენაკვიმატმა გუგუცეზე ისიც კი თქვა, მონადირის კუდიაო.

— არა ხარ მართალი. კაცი არ ვიყო, თუ ერთ მშვენიერ დღეს ეს ჩვენი გუგუცე თვითონ არ ვიხილოთ მხარზე თოფგადაკიდებულიო, — შეეპასუხა მას ვიღაც გლეხი.

ალბათ ასეც იქნებოდა, რომ ერთხელ გუგუცეს, დაჭრილი იხვის დევნისას, კოჭი არ ეღრძო. კვანჭალ-კვანჭალით გარბოდა ლელიანში, ტკივილისაგან კბილებს აკრაჭუნებდა და ფიქრობდა, ალბათ, იხვებსაც ასე სტკივათო. აი, მე რომ ვყოფილიყავი გარეული იხვი და ძაღლს ვეპოვნე ლელიანში, წამავლებდა პირს და წამაწიალებდა თავის პატრონთანო... ამ ფიქრში გუგუცემ ლელქაშები გასწი-გამოსწია და ბრაზით გახედა ნაცნობ აბოლებულ საკვამურს.

იმ ღამეს ყმანვილს ცუდად ეძინა, ძილში წამდაუწუმ ხტოდა, ხან კი გარეული იხვივით ყვიტყვიტებდა.

მეორე დღეს ისევ რომ გასწიეს სანადიროდ, მონადირემ ჯოხით მისაწვდომზე აფრთქიალებულ იხვს ტყვია ვერ მოახვედრა. იხვმა ბოლო აიქნია, ფრთები ააფართხუნა, ფრ.. ფრ... და აფრიკისაკენ გაუტია. გუგუცემ ხელი დაუქნია დასამშვიდობებლად. მონადირე ისე გაბრაზდა, ლამის უკან მოითხოვა თავისი საჩუქარი — იხვის კვერცხი.

მას მერე გუგუცე მონადირესთან ერთად აღარ დადიოდა ტბაზე. მონადირეზე ადრე მივიდოდა იქ ორ მეგობართან ერთად და გარეულ იხვებს ესაუბრებოდა. იხვები უცებ დაჭკვიანდნენ. ხან ისინი უფრო ადრე ამჩნევდნენ მონადირეს, ხან კი მონადირე ამჩნევდა მათ უფრო გვიან. ასე იყო თუ ისე, მონადირეს ბედი აღარ სწყალობდა. როგორც არ უნდა დაემიზნებინა, ტ ყ უ ი ლ ი ა, მაინც აცდენდა.

მონადირის ცოლიც სროლის ხმაზე ცეცხლს აღარ ანთებდა, იცოდა, მისი ქმარი ისევ განბილდებოდა. მონადირე კი თავისთვის ბუტბუტებდა:

— ღმერთმა ხელი მოუმართოთ, გამოიზამთრონ ცხელ ქვეყნებში! ზამთრისათვის მეტი შეშა დამრჩებაო.

ტბიდან დაბრუნებული სამ გორაკს ჩამოუვლიდა. ერთი გორაკი რატომღაც ფრუტუნებდა, მეორე ხითხითებდა, მესამე კი „სუუ, ჩუმად, ჩუმადო!“ ჩურჩულებდა და ხმადაბლა **უსტვენდა.**

მონადირე მიყრუებული შუკებით ბრუნდებოდა შინ, რომ სოფლელებს თვალი არ მოეკრათ. სამგიეროდ ყველა ხედავდა, როგორ ბრუნდებოდნენ სოფელში გუგუცე და მისი მეგობრები. მათ კუდის ქიცინით მოსდევდა მონადირის ძაღლი.

თარგმნა ლილი გოგოხიამ

მხატვარი **ოთარ ჩხარტიშვილი**

ნოდარ კეკელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგვარეულო ქვევრი

საბარგო მანქანა მძიმე-მძიმედ შემოღოღდა ეზოში და კიბესთან გაჩერდა. დაფაცურდნენ, ძარა ხელდახელ გაავსეს ბარგ-ბარხანით და წასასვლელად გაემზადნენ. ბიჭი ახლაღა გაახსენდათ. მიიხედ-მოიხედეს, მაგრამ თვალი ვერსად დაჰკრეს.

— მამი! — მამამისს გახედა კაბინასთან მდგარმა ფირუზამ, — რა იქნა ის ბიჭი, სად არის, კაცო?

— არ უნდა შვილო, ბიჭს წამოსვლა და დაეხსენ, რა გინდა, დარჩეს!

— დარჩესო! — გაიკვირვა ფირუზამ, — ნეტა რა დარჩენია ამ ატალახებულ სოფელში. ვერა ხედავს, ქვეყანა აიკრიფა და წავიდა?

— ქვეყანა ქვეყანაა, ჩვენ კიდევ ჩვენა ვართ! — გამოექომაგა შვილიშვილს პაპა, — განა არ ვეჩიჩინე, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

— არ უნდა და ნუ უნდა, მერე თავად შემომეხვეწება!

...ვახშმობისას პაპა-შვილიშვილი უხმოდ უსხდნენ მაგიდას და ზანტად იქნევდნენ ყბებს.

— ცანკაანიც გადაბარგდნენ, განა! — წამოიწყო ნიკო პაპამ და შუბლქვემოდან გახედა ბიჭს.

— ჰო, დილას გავაცილე ზურია! — თავი დაიქნია ვახომ.

— მერე, შენა შვილო! ან სკოლაში სადღა ივლი?

— სკოლა ერთ გადაძახებაზეა. ქვემო სოფელში რა, ვეღარ ვივლი?

— შენი ნებაა! — სახე გაებადრა მოხუცს.

გავიდა ხანი. პაპა-შვილიშვილი დღედაღამ ბაღ-ვენახში ტრიალებდა და თითოეულ ძირ ვაზსა თუ ხეხილს სათუთად თავს დაჰგარგარებდა.

ვახოს გული ეწურებოდა ცანკაანთ უყურადღებოდ მიტოვებულ კარ-მიდამოს რომ გადახედავდა. სახლი სახლს აღარ ჰგავდა, ეზო ეზოს და ბაღი კიდევ ბაღს. უკარფანჯრებო შენობა თვალებდავსებული დედაბერივით გამოიყურებოდა. საბძლის წინ მდგარი კოჭალა წაფერდებულიყო და მის ძირში ბეღურები ჟივილ-ხივილით დაკინკილებდნენ. ბაღჩას შამბნარი მოსდებოდა, ალერჯ ბალახს ვაზისთვის აესწრო სიმაღლეში.

ერთხელ პაპა-შვილიშვილი ვიღაცის ხმამ გამოაღვიძა. ნიკომ ხელდახელ ტანთ გადაიცვა და აივანზე გავიდა.

— დილა მშვიდობისა, ნიკო ძიავ! — შემოესმა ეზოს გადაღმიდან ცანკაანთ არჩილას ხმა.

— ბიჭო, შენა ხარ, არჩილ! — გაიკვირვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ედუარდ ამგოკაძე

მოხუცმა, — რა ქარმა გადმოგაგდო ჩვენკენ, რაშია საქმე?

— ეეე, აბა რა ვიცი! — მხრები აიჩეჩა არჩილმა, — ჩამოვედი, ქვევრი მინდა წავიღო! ჩვენი საგვარეულო ქვევრი! — ბარს ვერ მათხოვებ?

— გათხოვებ, რატომ არ გათხოვებ! — ამოიოხრა ნიკო პაპამ, მერე კიბეს ჩაჰყვა, ბარი მონახა და მეზობელს ღობეზე გადააწოდა, — მერე და, ქალაქში ქვევრი რად გინდა, ბიჭო?

— როგორ თუ რად მინდა? — გაიოცა არჩილმა, — ხანდახან ყურძენს ვიყიდი და ამ ქვევრში ჩავწურამ!

— აქ რომ ჩაგეწურა ძია არჩილ, ვითომ რა იქნებოდა, ჰა? — შემოესმა არჩილს ვახოს ხმა.

— ვაჰ! — ჩაიცინა ცანკაანთ არჩილამ, — შენ ისევ აქა ხარ, კაცო?

— მაშ სად ვიქნები, ამოდენა ბალ-ვენახს მოვლა-პატრონობა არ უნდა? — ამაყად ჩაილაპარაკა ვახომ.

— ჰოო, მაგაში კი მართალი ხარ, ვახო-ბიჭო, — ნაღვლიანად ჩაიბურტყუნა ცანკაანთ არჩილამ. მერე გაჩუმდა, ბარი მხარზე გაიდო, შებრუნდა და წავიდა.

— არჩილ! — დააწია ხმა ნიკო პაპამ, — სამხრობისას გამოგვიარე, ისე არ წახვიდე, ჩვენებურ ღვინოს დაგალევინებ!

— იცოცხლე, ნიკო ძია, გადმოვალ!

არჩილამ ერთხანს გარს უარა ქვევრს, ხან ერთ მხარეს წაუჩოქა, ხან მეორე მხარეს, შიგ ჩაიხედა, ქვევრის პირს ისე გადაუსვა ხელი, თითქოს ეფერებაო, ბოლოს ნამოდგა, ბარი კედელზე მიაყუდა და ბალჩაში ჩავიდა.

მზე დასავლეთისკენ იყო გადაწვერილი, როდესაც ვახო ცანკაანთ ღობეს მიადგა.

არჩილას იქაურობა მიეთიბ-მოეთიბა, ვაზი აეკრა, ახლა მიმდგარიყო და პირქვე დამხობილ კიტრსა და პამიდორს ჭიგოს უდგამდა. ვახოს გაეღიმა, მერე პაპას ანიშნა, დახე, არჩილა რას აკეთებსო.

— თავი დაანებე, შვილო! — უთხრა პაპამ ვახოს, — გაუშვი, იფუსფუსოს!

საღამოს ერთად ივახშმეს. წასვლისას ნიკო პაპამ ჰკითხა ცანკაანთ არჩილას, ქვევრის წაღებას რით აპირებო.

— ქვევრისას? — შეყოვნდა არჩილი, მერე კეფა მოიქექა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა, — აღარ მიმაქვს.

— რატომ კაცო?

— რატომა და, ამ ბიჭისა არ იყოს! — ცანკაანთ არჩილამ ამოიხვნეშა და ვახოსკენ გადააქნია თავი, — აქ რა, არ ჩაიწურება ყურძენი, თუ რა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზია ჩხეტიანი

ხუთიანის ჩივილი

— ეჰ, როგორი კოხტა ვიყავ,
მთვარეს ვგავდი ნამგალასა,
ეს რა მიქნა გოგა ბიჭმა,
ვაი, ეს რას დამამსგავსა!
თავი როგორ მომიჩხაპნა,
გადმომბრიცა,
გადამბრიცა,
რა ვუშველო ახლა, რა ვქნა,
ვის შევჩივლო, აბა, ვისა?
დაბრეცილი,
დაღრეცილი
ხუთიანი მწარედ ტირის:
თუ არ ქნა,
არ იბეჯითა,
არ ისწავლა კოხტად წერა,
მის რვეულში,
აგერ, მითქვამს, —
ვერა მნახავს გოგა, ვერა!

ბლის კუნწულა

ბაღში ბალი მწიფს და ელავს,
ბაღში ბალი მიხუნძლულა,
ხელებს იწვდის მარიკელა,
— მომიწყვიტე ბლის კუნწულა!
იმ სიმაღლეს ვერ შევწვდები,
დამეხმარე, მოდი, ჩიტო,
რა იქნება, გეხვეწები,
ის კუნწულა მომიწყვიტო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოდაბუნში

დატრიალებს ხოდაბუნში
კომბაინი ხმაგუგუნა,
მწყრის ქვითქვითში,
მზის ალმურში,
ჰოოპუნა!
ჰოოპუნა!
რა კალო გვაქვს,
რა მზის კალო!
ეჰე-ჰეი, ძია თედო!
ყველა თავთავს აკრეფ მალე,
თქვენ ნურაფერს ინაღვლებთო!
ტრიალებენ, ცქრიალებენ,
აგროვებენ ოქროს თავთავს,
ოქროს ველზე, მზიან ველზე
მუჭა-მუჭა, კალთა-კალთა!

აგე,
შეხედ მუხის ძირას
არც სცენა აქვთ,
და არც ფარდა,
ჩიტებივით მოფრენილან,
და კონცერტი გაუმართავთ.
დაიწყებენ ბიჭუნები,
მოსძახიან გოგონები,
ხმაჭიკჭიკა ჩიტუნები,
ხმაწკრიალა ტოროლები.
უცბად დოლი გაფიცხდება,
გაგიჟდება თანდათანა,
იწყება და რა იწყება—
„შეჯიბრი" თუ „განდაგანა!"
მერე ერთად აცეკვდება
კაცი,
ქალი,
დიდ-პატარა...
— ჰო, ჰო, როგორ გაგვახარეთ
ილიმება ძია თედო,—
ეგ რა კარგი ბალღები ხართ,
ოლონდაც რომ ივარგებთო!

მხატვარი ზაურ დეისაძე

ბონდო მუმლაძე

დილის ვარჯიში

ბაბუ ადგა დილით ადრე!
თქვა: „წელაწლა დავიბადე!
ჰაერია იმისთანა,
გააცოცხლებს მკვდარსაც, მგონი“.
და ვარჯიშობს ბაბუ თანაც:
— ერთი... ორი... ერთი... ორი...
წამოვარდა უცებ ნანაც —
საქმეათ სულ იოლი.
იქნევს ხელებს, იქნევს ფეხებს:
— ერთი... ორი... ერთი... ორი...

გიორგი მეტრეველი

ინდაური

ინდაური ფხორია.
სირაქლემას ტოლია...
შევეკითხე:
— რა გინდა?
— გამაძღეთ ფაფითა,
თუ გინდა, რომ ჭუკები
ჩაგაბაროთ უქლებლივ...
ავუსრულე წადილი
მოვამზადე სადილი,
მაგრამ ფაფა კი არა,
— სამყურა და სვიარა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანა

კლასში თერთმეტი მერხია,
ათზე ორ-ორი სხედან;
მეთერთმეტეზე ვეფხია
დასკუპებულა კენტად.
ჰოდა, იმ კლასში რამდენი
მოსწავლე არის ნეტავ?

ზოთა ამირანაშვილი

კახაბერის სიმღერა

ჯემალ მეტრეველი

ჰერი-ჰერი! ჰერი-ჰერი!
მე ვარ ბიჭი კახაბერი!
მიყვარს მზე და წყალში ხტომა,
მიტომ დამკრავს ხორბლის ფერი.
ჰერი-ჰერი! ჰერი-ჰერი!—
მოვდივარ და მოვიმღერი.

რიგაზეზი

კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო.

ძმა ძმისთვისაო—შავი დღისთვისაო.

კაცი კაცის წამალიაო.

ხელმა ხელი დაბანა, ორივემ კი—პირიო.

ეპიგრამები

უხილავმა მარჯვენამ
ლურჯ ტილოზე ნაზად
მშვენიერი კამარა
ხელად შემოხაზა.

ახლოს კი ჩანს, მაგრამ
თუნდაც გესხას ფრთები,
ვერც ზედ გადაუვლი,
ვერც ქვეშ გაუძვრები.

გუზან რუსაიძე

თუმცა მზის შუქი ვერ აღწევს,
მაგრამ სიბნელე როდია,
ხელიხელჩაკიდებული
სახლები მიდი-მოდიან.

ზოთა ზოთაძე

საქართველოს ალკა ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ეროვნული შემცოსლელთათვის

გამოცემის №3-ე წელი

№3. კპ ცკ-ის გამომცემლობა Издательство ЦК КП Грузии

რედაქტორის მაგიერ ზურაბ ლეშაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, ილია ანთელავა, კუკური ბოგიანშვილი, სოლომონ დეკანოზიშვილი, ლეილა ერაძე, ზურაბ ლეშაშვილი (პ/მგ მდივანი), ფანანა კოპაძიძე, გელა ლოსაბერიძე, მაკვალა ბრეგლეიშვილი, ჯუარა ნადირაძე, ბეიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ბივი ძღვლაძე, ფანანა ხაჩიძე, ბივი ფიფიანაძე

ტექნიკური რედაქტორი ენდი წერეთელი

შინაარსი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-41-30, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. 93-10-32, 93-98-19; 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 9/IV-82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/V-82 წ., ქაღალდის ზომა 6 X 90/8 ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 168.500. შეკვ. № 961. „Дила“ № 6. журнал для младшеклассников. на грузинском языке. Главный редактор М. Мачаварианн. Тбилиси, ул. Ленина, 14. цена 20 к.

ფასი 20 კაპ. ინდექსი 76055

„ჩემი სოფელი“ — ნახატი **კობა ზოიძისა**, II კლ. მოსწავლე.

„ზეიმი“—ნახატი **ბესიკ ცხვარიაშვილისა**, საგარეჯო, სოფ. პატარძეული.

„რთველი“ — ნახატი **ნინო აფცალაურისა**, თბილისის II ექსპერიმენტული სკოლა, მე-4 კლ.

„კრემლი“ — ნახატი **დავით ჭონქაძისა**, დუშეთის რაიონი, დაბა ჟინვალი.

„ბალში“ — ნახატი **მიხეილ გოცაძისა**, ზედა საზანო, I კლ.

„გოგონა და ხბილო“— ნახატი **სალომე ოდიშარიასი**, 5 წლის. ქ. სოხუმი.

„რაკეტა“ — ნახატი **ელიზო ხამხარაძისა**, VI კლ.

„ბურატინო“—ნახატი **ნანა წიკარაშვილისა**, ლაგოდეხის რაიონი, სოფ. ყარსუბანი, 12 წლის.